შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივ კოლეჯში
განხორციელებული ვიზიტის
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ვანო ოთხოზორია - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი

წევრები:

ნათია გიორგობიანი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი

ქეთევან ღვანიძე - - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯი
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 238134425

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

■ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

{თბილისი, 2018 წ}

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 21/09/2018წ. ბრძანება №856-ის თანახმად პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ (ჯგუფის შემადგენლობა: ვანო ოთხოზორია - ჯგუფის თავმჯდომარე, ნათია გიორგობიანი - ჯგუფის წევრი, ქეთევან ღვანიძე - ჯგუფი წევრი), 2018 წლის 23, 24 და 25 ოქტომბერს განხორციელდა ვიზიტი შპს ილია - ქ. საგარეჯოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საზოგადოებრივ კოლეჯში.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა დაწესებულების პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.

ვიზიტის დასაწყისში, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, დაზუსტდა ვიზიტის ორგანიზაციული მხარე. ადგილზე გადამოწმდა დოკუმენტაცია, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის, სამოქმედო გეგმების შესრულების, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმების არსებული პრაქტიკის მარეგულირებელი აქტები.

ექსპერტების მიერ შემოწმდა ადგილზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი (საგანმანათლებლო სივრცეები, ადაპტირებული გარემო, A, B და C სასწავლო გარემო), გასაუბრება ჩატარდა პროგრამის ხელმძღვანელებთან და დაწესებულების ხარისხის მენეჯერთან. გადამოწმდა პროგრამის განმახორციელებელი პირებისა და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის განმახორციელებელ პირებს, გადაამოწმეს საბიბლიოთეკო რესურსი, როგორც სახელმძღვანელოები, ასევე ტექნიკური აღჭურვილობა. გასაუბრება ჩატარდა ბიბლიოთეკაზე პასუხისმგებელ პირთან. გადამოწმდა ხარისხის მართვის სამსახურის დოკუმენტაცია (ხარისხის მონიტორინგის ინსტრუქცია და ხარისხის მართვის მარეგულირებელი წესი, თვითშეფასების კითხვარები, გამოკითხვის და დაკვირვების ოქმები, ანალიზის შედეგები, რეკომენდაციები, მათი შესრულების დამადასტურებელი საბუთები; პროგრამებში, მოდულებსა და რეგულაციებში განხორციელებული ცვლილებების ამსახველი დოკუმენტები). ექსპერტებმა შეამოწმეს სტუდენტთა რეესტრი და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, განახორციელეს დაწესებულების რეესტრისა და საქმისწარმოების წესის გადამოწმება.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერებულ იქნა პრაქტიკის ობიექტები, მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების/ მემორანდუმების პირობების მიხედვით განხორციელდა პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიურება.

ვიზიტის დასასრულს ექსპერტების მიერ შემუშავებულ იქნა დასკვნის პროექტის სამუშაო ვერსია, შეჯამდა ვიზიტის შედეგები. ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს ვიზიტის პერიოდში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

მდგომარეობა	სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	საგაწმაწათლებლო პროგრამების რაოდენობა	საგაწმაწათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა	ფართი	მისამართების რაოდენობა და მდებარეობა
ახალი	1-20	1-5	1-20	1-500 კვ.მ.	ერთ მისამართზე
არსებული	21-50	6-10	21-50	501-1500 კვ.მ.	სხვადასხვა მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში
	51-150	11-15	51-100	1501-3000 კვ.მ.	სხვადასხვა მუნიციპალიტეტში
	151-500	16-20	101-150	3000-5000 კვ.მ.	
	501 და მეტი	21 და მეტი	151 და მეტი	5001 და მეტი კვ.მ.	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{თბილისი, 2018 წ}

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.	**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები**	**მუხლი 6**	■	□
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	□
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	□
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	□
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	□
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

	შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები			
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**		
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**		
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**		
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**		
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**		
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**		
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**		
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**		
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**		
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**		
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**		
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**		
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**		
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(თბილისი, 2018 წ)

2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	☐
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	☐
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	☐
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	☐
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	☐
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	☐

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ვიზიტის შედეგად ხარვეზი არ გამოვლენილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

VI. რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდირებულია:

- სასწავლო დაწესებულებამ, მისიაში არსებული ჩანაწერის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები განახორციელოს საგანმანათლებლო სივრცეში არსებული პროფესიული სტანდარტების, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნების და ,,პროფესიული განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის მიხედვით" ფორმულირებაში შეიტანოს ცვლილება, რადგანაც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და კანონის მოთხოვნების გათვალისწინება, დაწესებულების მოვალეობაა და არა ხედვის ან სტრატეგიის ნაწილი.

ქვესტანდარტი 1.1

- მოდულების დამხმარე ჩანაწერებში, კერძოდ: პუნქტში სასწავლო გარემოთა ტექნიკური აღჭურვილობა, სადაც გამოყენებულია ტერმინები „არა ნაკლებ", დაკონკრეტდეს ინფორმაცია დაწესებულების საკუთრებაში ფაქტობრივად არსებული აღჭურვილობის შესახებ;
- დაწესებულებამ ორცვლიანი სწავლების დაგეგმვასთან დაკავშირებით გააკეთოს შესაბამისი ჩანაწერი შინაგანაწესში;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, მასში ცვლილების შეტანის და დამტკიცების პროცედურის დოკუმენტში, მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის ჩანაწერში - "კოლეჯი ვალდებულია შეარჩიოს არჩევითი მოდულების მინიმუმ ის რაოდენობა, რაც პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საერთო რაოდენობის ათვისების საშუალებას მისცემს პროფესიულ სტუდენტს"- სიტყვა „ვალდებულია" ჩანაცვლდეს სიტყვით - „უფლებამოსილია";
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, მასში ცვლილების შეტანის და დამტკიცების პროცედურის დოკუმენტში, მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის ჩანაწერი - „მაღალი დონის პროგრამებში შესაძლებელია გამოყენებული იქნას დაბალი დონის არჩევითი მოდულები, ხოლო დაბალი დონის პროგრამებში - მაღალი დონის მოდულები", სიტყვა „დონე" შეიცვალოს სიტყვით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

„საფეხური“, ასევე, აღნიშნულ ჩანაწერში გათვალისწინებულ იქნეს, რომ დაბალი საფეხურის შესაბამის პროგრამებში მაღალი საფეხურის პროგრამის შესაბამისი მოდულების გამოყენება შეუძლებელია;

- სსსმ პირებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმში, რომელიც რეალურად ასახავს მხოლოდ შშმ პირებისთვის შემუშავებულ რეგულაციას, დაემატოს ჩანაწერი დანარჩენი სსსმ პირებისთვისაც. ასევე ამოღებულ იქნეს პირველი პუნქტი - „სკოლაში სსსმ პირებისთვის სწავლის პროცესის კოორდინაციისათვის კოლეჯის დირექცია შეიმუშავებს სპეციალურ მექანიზმს“;
- პრაქტიკის ობიექტებთან დადებულ ყველა ხელშეკრულებაში, დეტალურად იქნეს გაწერილი რა რაოდენობით სტუდენტებს მიიღებს პრაქტიკის ობიექტი;
- პროფესიულ მასწავლებლებს, რომლებიც მოიაზრებიან ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით შექმნილი (მოდულური) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლად, დამატებით ჩაუტარდეთ ტრენინგი პროგრამის განხორციელებისთვის;
- მოდულში „პრაქტიკული პროექტი ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“, რომელიც ისწავლება ყველა სხვა პროფესიული მოდულის დასრულების შემდგომ (მოდულის წინაპირობას წარმოადგენს - ყველა პროფესიული/დარგობრივი მოდული), სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულ იქნეს სწავლის შედეგების შესაძლო განმეორებითი დადასტურებისთვის საჭირო გონივრული 1 კვირიანი ვადა;
- დაწესებულებამ გაწეროს დებულებაში, სასწავლო გეგმებში გათვალისწინებული იმ მოდულების განმეორებითი დადასტურების ვადები, რომლებიც სხვა მოდულის დაშვების წინაპირობაა;
- მოდულში - „მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები“, სასწავლო რესურსებში მითითებული ლიტერატურა სრულად არ ეხმაურება მოდულის სწავლის შედეგებს და შესაბამის თემატიკას, ამიტომ ჩანაცვლდეს ან შევსებულ იქნეს შესაბამისი თემატური რესურსით.

ქვესტანდარტი 1.2.

- კატალოგი დამატებით მოიცავდეს ინფორმაციას, სერვისისა და ინფრასტრუქტურის, მოდულის/პრაქტიკის განმახორციელებელი პირებისა და წარმატებული კურსდამთავრებულების შესახებ. ასევე ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

- განისაზღვროს კატალოგის განახლებაზე პასუხისმგებელი პირი;
- კატალოგი გამოტანილი იყოს დაწესებულების ვებგვერდის მთავარ გვერდზე.

ქვესტანდარტი 1.4.

- საზოგადოებრივი კოლეჯის დებულებით წარმოდგენილ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, &5 - მობილობის უფლების მქონე პირი, პირველ პუნქტში გამოყენებული ტერმინი „სპეციალობიდან სპეციალობაზე გადაყვანა“, შეიცვალოს ტერმინით - „ერთი პროგრამიდან მონათესავე პროგრამაზე გადაყვანა“;
- *შპს ილია*-ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, &4, მე-6 პუნქტის ჩანაწერი: “მოდულური პროგრამიდან მობილობით შემოსული ან შიდა მობილობით პროფესიული სტუდენტი შეიძლება ჩაირიცხოს საგნობრივ პროგრამაზე დირექციის გადაწყვეტილებით კომისიური წესით, კრედიტებით გაანგარიშების წესის სრული დაცვით, შედეგების აღიარების მექანიზმის გამოყენებით“ ამოღებულ იქნეს.

ქვესტანდარტი 1.6

- ჩარჩო დუკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროგრამებისათვის შექმნილი კითხვარების ანალიზი იყოს უფრო სრულყოფილი, შედეგები მოიცავდეს სტატისტიკურ მონაცემებს და დეტალურად აღწერდეს შედეგებზე რეაგირების ქმედებებს.

ქვესტანდარტი 2.3

- ბიბლიოთეკაში არსებული ყველა სახელმძღვანელო დამუშავებულ იქნეს საბიბლიოთეკო წესის მიხედვით.

ქვესტანდარტი 2.8

- სასწავლო დაწესებულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის, მათ შორის სტუდენტური, პედაგოგიური, დამსაქმებლებთან ურთიერთობის აქტივობების ანონსებისა და ჩატარების შესახებ ინფორმაციის ვებგვერდზე გონივრულ ვადებში ასახვა;
- აპლიკანტებისთვის სასარგებლო და დამაინტერესებელი ინფორმაციის ვებგვერდზე თვალსაჩინოდ წარმოჩენა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(თბილისი, 2018 წ)

ქვესტანდარტი 2.9

- დაწესებულების მიერ დამტკიცებული განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სამოქმედო გეგმა, 2018-2024 წლები, გაიწეროს 6 წელზე და სიტყვა „სამოქმედო“ შეიცვალოს სიტყვით „სტრატეგიული“;
- გრძელვადიანი გეგმის პირველი პუნქტიდან - საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება - ჩანაწერი: “სტუდენტთა ცოდნის დონის შეფასების ECTS-ის მიერ რეკომენდებული სკალის გამოყენება“ ამოღებულ იქნეს, რადგან არ არის რელევანტური ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი (მოდულური) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, ზოგადად პროფესიული განათლებისთვის;
- 2018 -2019 წ სამოქმედო გეგმაში, სტრატეგიული მიზანი №3, ადამიანური რესურსი, 3.2 პუნქტში, „უახლოეს 2 წელიწადში მინიმუმ 5 პროფესიული პროგრამის განხორციელება განათლების, ბიზნესის ადმინისტრირების და ჯანდაცვის მიმართულებით“, შესაბამისობაში მოვიდეს სტრატეგიულ მიზანთან №1 - საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფა;
- სამოქმედო გეგმის 3.2 პუნქტის ჩანაწერი შესაბამისობაში მოყვანილ იქნეს იმ თორმეტ თვესთან (03.2018-02.2019), რომელიც გაწერილია ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.

ქვესტანდარტი 3.1

- სასწავლო დაწესებულებამ ცალკე დოკუმენტის სახით დაამტკიცოს საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- ბიბლიოთეკარის პოზიციაზე დასაქმებულ პირს ჰქონდეს შესაბამისი სამუშაო გამოცდილება ან გადამზადების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ქვესტანდარტი 3.2

- სასწავლო დაწესებულებამ პროფესიული მასწავლებლის მიღების წესის პუნქტები მოიყვანოს შესაბამისობაში პროფესიული მასწავლებლის დებულებასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

VII. დაწესებულების მისია

მოამზადოს კონკურენტუნარიანი, პროფესიონალი სპეციალისტები და ხელი შეუწყოს ინდივიდის დასაქმებას და თვითდასაქმებას;

- პროფესიული განათლება მიუსადაგოს ადგილობრივ და ზოგადად ქვეყნის მოთხოვნებს;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები განახორციელოს საგანმანათლებლო სივრცეში არსებული პროფესიული სტანდარტების, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნების და ,,პროფესიული განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის მიხედვით.
- სტუდენტს შესთავაზოს საუკეთესო კომფორტული სასწავლო გარემო.
- იზრუნოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სწავლის პირობების შესაქმნელად.
- რაიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის შეიმუშაოს და დანერგოს ქართულენოვან მოსახლეობასთან ინტეგრაციის მექანიზმი, მიმართული მათი პატრიოტული აღზრდის, პროფესიული განათლებისა და დასაქმებისაკენ.
- შექმნას სამეწარმეო პარტნიორობის სისტემა შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობის ხელშეწყობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{თბილისი, 2018 წ}

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება გეგმავს 5 მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას. პროგრამები დამტკიცებულია შპს ილია - ქ. საგარეჯოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 5 სექტემბრის №54 ბრძანებით.

ვიზიტის პერიოდში სასწავლო დაწესებულების დირექტორის მიერ გამოიცა ბრძანება №66 – 24.10.2018 (დანართი 2), რომლითაც შევიდა ცვლილება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის - „ინფორმაციის ტექნოლოგია“ - დამტკიცების ბრძანებაში და მისანიჭებელი კვალიფიკაცია ჩამოყალიბდა, როგორც - „მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში“. ცვლილების განხორციელების საფუძველს წარმოადგენდა დაწესებულების მიერ დამტკიცებულ პროგრამაში, მისანიჭებელი კვალიფიკაციის ჩარჩო-დოკუმენტით განსაზღვრულ მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობაში მოყვანა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, საფეხური, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა კრედიტებსა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

{თბილისი, 2018 წ}

და საათებში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობანი; სტრუქტურა და მოდულები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება განპირობებულია საქართველოს შრომის ბაზრის კვლევის შედეგების, ბოლო წლებში ქვეყანაში ყველაზე მოთხოვნადი პროფესიების ანალიზის საფუძველზე.

პროგრამებს თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ და სასწავლო გეგმა, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის №192/ნ ბრძანებით დამტკიცებული “აღმზრდელის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში. სკოლამდელი განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 116 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 105 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 19,5 თვე. აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 146 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 41, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 105 კრედიტი.

პროფესიული პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი ქ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებასთან, ხოლო 2018 წლის 31 იანვარს დადებული აქვს ხელშეკრულება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის №5 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასთან (ქ.საგარეჯო, კახეთის ქ. №80) 6 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო), შედგენილია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 21 მაისის 407/ი ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით. პროგრამა დამტკიცებულია ქ. საგარეჯოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 16 ივლისის №50 ბრძანებით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცია(სააფთიაქო), მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში (სააფთიაქო) , fifth level of professional qualification in pharmacy. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 120 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების რაოდენობაა 3 (ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11), პროფესიული/დარგობრივი მოდულების რაოდენობაა 26 (ჯამური კრედიტების რაოდენობა 109). პროგრამის ხანგრძლივობაა 19 თვე. ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 150 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 41, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების კრედიტების რაოდენობა - 109. პროგრამის ხანგრძლივობაა 24 თვე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საოფისე საქმე“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საოფისე საქმე, შედგენილია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 5 ივნისის №458 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის საოფისე საქმე, მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში, Fourth level of vocational qualification in office work. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 59 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების რაოდენობაა 5(ჯამური კრედიტების რაოდენობაა-15), სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების რაოდენობაა 15 (ჯამური კრედიტების რაოდენობა-44). პროგრამის ხანგრძლივობაა 9.5 თვე. საოფისე საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 89 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა-45, სპეციალიზაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

პროფესიული/დარგობრივი მოდულების კრედიტების რაოდენობა-44. პროგრამის ხანგრძლივობაა 14.5 თვე.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების ფარმაცია, საოფისე საქმე პირველ გვერდზე მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:

პროგრამის დასახელება, საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის მიერ პროგრამის დამტკიცების ბრძანება (ნომერი, რიცხვი, ბეჭედი და ხელმოწერა), ქალაქი და თარიღი.

მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად, დაწესებულებას სასწავლო გეგმებში გათვალისწინებული აქვს მოდულების განმეორებითი დადასტურების ვადები, არ აქვს გაწერილი დებულებაში იმ მოდულების განმეორებითი დადასტურების ვადა, რომლებიც სხვა მოდულის დაშვების წიაპირობაა.

პროგრამას ერთვის შემდეგი დანართები: სასწავლო გეგმა, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, მოდულები, ქართული ენის მოდულები, სასწავლო გეგმა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის. ცალკე დოკუმენტადაა წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, სასწავლო A და C გარემოსთვის.

პროგრამებს აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები, სტუდენტთა კვირეული დატვირთვის (არა უმეტეს 40 საათი კვირაში) გათვალისწინებით. სასწავლო გეგმებში მოდულები შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის დანართებს, ისინი მოიცავს: 1.ზოგადი ინფორმაციას, 2. სტანდარტულ ჩანაწერებს და 3. დამხმარე ჩანაწერებს.

<u>უნდა აღინიშნოს, რომ მოდულებში დამხმარე ჩანაწერების ყველა პუნქტი არ არის ადაპტირებული. კერძოდ: **საოფისე საქმის საგანმანათლებლო პროგრამის** მოდულებში- ნორმატიული აქტების გამოყენება და საორგანიზაციო დოკუმენტების პროექტების მომზადება, პუნქტში</u> 3.4. სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი - ინვენტარი, აღჭურვილობა, <u>B</u> <u>გარემოს მატერიალური რესურსი ინვენტარი, აღჭურვილობა დატოვებულია ტერმინი „არანაკლებ“</u>

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“

პროფესიული საგანამათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ინფორმაციის ტექნოლოგია“, რომელიც დამტკიცებული გახლდათ დაწესებულების უფლებამოსილი პირის დირექტორის მიერ (17-11.04.2018წ. ბრძანება ცვლილებების შეტანის შესახებ №5-05.09.2018წ.), ვიზიტის პერიოდში შევიდა ცვლილება (ბრძანება №66 – 24.10.2018 წ (დანართი 2) და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: მისანიჭებელი კვალიფიკაცია - „მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში“. ცვლილების განხორციელების საფუძველს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

წარმოადგენდა დაწესებულების მიერ დამტკიცებულ პროგრამაში, მისანიჭებელი კვალიფიკაციის ჩარჩო-დოკუმენტით განსაზღვრულ მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობაში მოყვანა.

შესაბამისი კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიული სტუდენტი აგროვებს ჯამურად 60 კრედიტს, რომელთაგან 16 კრედიტი არის ზოგადი მოდულების, 31 კრედიტი არის საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდულების, 13 კრედიტი არის პროფესიული/დარგობრივი მოდულების. ქართული ენის კომპეტენციის არ მქონე პირებისთვის დამატებით 15 კრედიტი (მოდული ქართული ენა 2), ჯამურად 75 კრედიტი.

პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, დაცულია პროგრამის კომპონენტების მიერ განსაზღვრული წინაპირობები სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

მოდული „პრაქტიკული პროექტი ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში“ ისწავლება ყველა სხვა პროფესიული მოდულის დასრულების შემდგომ და არ არის გათვალისწინებული შესაძლო სწავლის შედეგების აღდგენის ჩაბარებისთვის გონივრული 1 კვირიანი ვადა.

მოდული „მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები“ სასწავლო რესურსებში მითითებული ლიტერატურა, სრულად არ ეხმაურება მოდულის სწავლის შედეგებს და შესაბამის თემატიკას.

პროფესიული საგანამათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ შემუშავებულია „ბუღალტრული აღრიცხვა - Accounting“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 04114-პ). მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში. პროგრამის მოცულობა შეადგენს - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის - 99 კრედიტს, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვი - 29 კრედიტს. პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის - 16 სასწავლო თვე.

უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, მასში ცვლილების შეტანის და დამტკიცების პროცედურის დოკუმენტის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტში იკითხება "კოლეჯი ვალდებულია შეარჩიოს არჩევითი მოდულების მინიმუმ ის რაოდენობა, რაც პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საერთო რაოდენობის ათვისების საშუალებას მისცემს პროფესიულ სტუდენტს." თუმცა, საგანმანათლებლო პროგრამებში არჩევითი მოდულები საერთოდ არ არის შეტანილი. მე-6 პუნქტში კი არის შემდეგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(თბილისი, 2018 წ)

ჩანაწერი: „მაღალი დონის პროგრამებში შესაძლებელია გამოყენებული იქნას დაბალი დონის არჩევითი მოდულები. ხოლო დაბალი დონის პროგრამებში - მაღალი დონის მოდულები“.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმი სსსმ პირებისთვის, რომელის რეალურად ასახავს მხოლოდ შშმ პირისთვის შემუშავებულ რეგულაციას. აღნიშნულ დოკუმენტში პირველ პუნქტში ვხვდებით ჩანაწერს: "სკოლაში სსსმ პირებისთვის სწავლის პროცესის კოორდინაციისათვის კოლეჯის დირექცია შეიმუშავებს სპეციალურ მექანიზმს".როგორც ექსპერტებისათვის გახდა ცნობილი , დაწესებულება ახორციელებდა სასკოლო პროგრამას და დოკუმენტში ძველი ჩანაწერია დარჩენილი. (დანართი № 3)

დაწესებულება ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში გეგმავს სწავლებას ორ ცვლაში.

დაწესებულებას პრაქტიკის განხორციელებისთვის გაფორმებული აქვს მემორანდუმები/ხელშეკრულებები ორგანიზაციებთან, რომლებიც იხილეთ შემდეგ ცხრილში:

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

№	**პროგრამის დასახელება**	**ორგანიზაციის დასახელება**	**შეთანხმების სახე**	**არის თუ არა პროგრამა მითითებული**	**ვადა**
1	ფარმაცია (სააფთიაქო) მეხუთე საფეხური	შპს „პსპ ფარმა“	ხელშეკრულება	პროგრამა მითითებულია	1.01.2025
2	საოფისე საქმე მეოთხე საფეხური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	ხელშეკრულება	პროგრამა მითითებულია	31.01.2024
3	ინფორმაციის ტექნოლოგია მესამე საფეხური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	ხელშეკრულება	პროგრამა მითითებულია	31.01.2024
4	ბუღალტრული აღრიცხვა მეხუთე საფეხური	შპს „გოლდსერვისჯგუფი“	ხელშეკრულება	პროგრამა მითითებულია	31.01.2024
5	აღმზრდელი მეხუთე საფეხური	ქ. საგარეჯოს №5 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	ხელშეკრულება	პროგრამა მითითებულია	31.01.2024

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

პრაქტიკის ბაზებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში მოცემულია ინფორმაცია, თუ რომელი პროგრამის პროფესიულ სტუდენტებს მიიღებს ობიექტი პრაქტიკის ბაზაზე და რა მოდულს განახორციელებს. თუმცა *პრაქტიკის ბაზის მიერ მისაღები სტუდენტების შესაძლო რაოდენობა, მხოლოდ ფარმაცია(საფთიაქო) მეხუთე საფეხურისთვის დადებულ ხელშეკრულებაშია მითითებული.*

სასწავლო დაწესებულების დებულების მიხედვით, პრაქტიკის ღირებულებას იხდის პროფესიული სტუდენტი. მოცემული პირობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფისთვის, ვიზიტის პერიოდში სასწავლო დაწესებულების დირექტორის №67 ბრძანებით გამოიცა ბრძანება და დამტკიცდა საზოგადოებრივ კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულების ფორმა, სადაც „სტუდენტის ვალდებულება“ პუნქტში, ასახულია საწარმოო პრაქტიკა/პრაქტიკული პროექტის ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება (დანართი 8).

თვითშეფასების კითხვართან ერთად გადმოგზავნილი ხელშეკრულებების გარდა დაწესებულებამ წარმოადგინა პრაქტიკის ობიექტებთან დადებული დამატებითი ხელშეკრულებები :

- ხელშეკრულება (18.09.18-19.09.2024წ) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ლამბალოს საჯარო სკოლის დირექტორთან [redacted], საოფისე საქმის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამისთვის (მისაღები სტუდენტების რაოდენობა არ არის დაკონკრეტებული).
- ხელშეკრულება №11 18.09.18-18.092024 წ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გომბორის საჯარო სკოლის დირექტორთან [redacted] [redacted], საოფისე საქმის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამისთვის (მისაღები სტუდენტების რაოდენობა არ არის დაკონკრეტებული).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა ვიზიტის დროს შეამოწმეს პრაქტიკის რამდენიმე ბაზა, კერძოდ:

- აფთიაქი PSP (ერთ-ერთი ფილიალი საგარეჯოში), სადაც გასაუბრება მოხდა PSP-ს კოორდინატორთან პრაქტიკის განხორციელების სფეროში და მოდულის ერთ-ერთ მომავალ განმახორციელებელთან. ინტერვიურებისას გამოირკვა, რომ საგარეჯოს PSP აფთიაქის სამი ფილიალი მზად არის პროფესიული სტუდენტების მისაღებად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

ამისათვის სპეციალურადაა შერჩეული 10 ფარმაცევტი, რომელთაც შეუძლიათ 20 პროფესიული სტუდენტის მიღება;

- ქ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა - სადაც იგეგმება საოფისე საქმის მეოთხე საფეხურის პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკა. ინტერვიურებისას გამოიკვეთა მზაობა პროფესიული სტუდენტების მიღებისა (ერთდროულად 10 პროფესიული სტუდენტის მიღება). თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო (მოდულური) პროგრამა მათთვის სიახლეა და საჭიროებენ ტრეინინგს;
- ქ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა, საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება - სადაც იგეგმება ინფორმაციის ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული პროექტის სწავლება. ინტერვიურებისას გამოიკვეთა პროფესიული სტუდენტების მიღების მზაობა. პრაქტიკის ობიექტზე - საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილებაში, ვიზუალური დათვალიერებისას დადასტურდა შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგების ეფექტური მიღწევის შესაძლებლობა;
- შ.პ.ს „გოლდ სერვის ჯგუფი“ - სადაც იგეგმება პრაქტიკული პროექტის „ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგების მომზადება“ სწავლება. აღნიშნული ორგანიზაცია ემსახურება რეგიონში საკმაო რაოდენობის სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციას, მათ აქვთ სასწავლო დაწესებულებასთან და პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობის გამოცდილება და გამოთქვამენ მზაობას გააგრძელონ ურთიერთობა შესაბამისი მოდულური პროგრამის ფარგლებში;
- ქ. საგარეჯოს №5 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც იგეგმება პრაქტიკული პროექტის „სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ განხორციელება. დაწესებულების მიერ პრაქტიკული პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი პირი, გახლავთ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი დარგობრივი მოდულების ერთ-ერთი განმახორციელებელი პირი, რომელიც კარგად იცნობს მოდულის სტრუქტურას და განხორციელების მიდგომებს, მასთან ინტერვიურებით დასტურდება პრაქტიკული პროექტის განხორციელების შესაძლებლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, გარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა: (ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა; ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამა; მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა)

№	**პროგრამის დასახელება**	**კრედიტების რაოდენობა**

შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯი, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, აპირებს პროფესიული პროგრამების განხორციელებას **ქ. საგარეჯოში, ლეონიძის ქ №33ა**

რეკომენდაციები:

- ✓ მოდულების დამხმარე ჩანაწერებში, კერძოდ: პუნქტში სასწავლო გარემოთა ტექნიკური აღჭურვილობა, სადაც გამოყენებულია ტერმინები „არა ნაკლებ“, დაკონკრეტდეს ინფორმაცია დაწესებულების საკუთრებაში ფაქტობრივად არსებული აღჭურვილობის შესახებ;
- ✓ დაწესებულებამ ორცვლიანი სწავლების დაგეგმვასთან დაკავშირებით გააკეთოს შესაბამისი ჩანაწერი შინაგანაწესში;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, მასში ცვლილების შეტანის და დამტკიცების პროცედურის დოკუმენტში, მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის ჩანაწერში - “კოლეჯი ვალდებულია შეარჩიოს არჩევითი მოდულების მინიმუმ ის რაოდენობა, რაც პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საერთო რაოდენობის ათვისების საშუალებას მისცემს პროფესიულ სტუდენტს“ - სიტყვა „ვალდებულია“ ჩანაცვლდეს სიტყვით - „უფლებამოსილია“;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, მასში ცვლილების შეტანის და დამტკიცების პროცედურის დოკუმენტში, მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის ჩანაწერი - „მაღალი დონის პროგრამებში შესაძლებელია გამოყენებული იქნას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

დაბალი დონის არჩევითი მოდულები, ხოლო დაბალი დონის პროგრამებში - მაღალი დონის მოდულები“, სიტყვა „დონე“ შეიცვალოს სიტყვით „საფეხური“, ასევე, აღნიშნულ ჩანაწერში გათვალისწინებულ იქნეს, რომ დაბალი საფეხურის შესაბამის პროგრამებში მაღალი საფეხურის პროგრამის შესაბამისი მოდულების გამოყენება შეუძლებელია;

- ✓ სსსმ პირებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმში, რომელიც რეალურად ასახავს მხოლოდ შშმ პირებისთვის შემუშავებულ რეგულაციას, დაემატოს ჩანაწერი დანარჩენი სსსმ პირებისთვისაც. ასევე ამოღებულ იქნეს პირველი პუნქტი - „სკოლაში სსსმ პირებისთვის სწავლის პროცესის კოორდინაციისათვის კოლეჯის დირექცია შეიმუშავებს სპეციალურ მექანიზმს“;
- ✓ პრაქტიკის ობიექტებთან დადებულ ყველა ხელშეკრულებაში, დეტალურად იქნეს გაწერილი რა რაოდენობით სტუდენტებს მიიღებს პრაქტიკის ობიექტი;
- ✓ პროფესიულ მასწავლებლებს, რომლებიც მოიაზრებიან ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით შექმნილი (მოდულური) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლად, დამატებით ჩაუტარდეთ ტრენინგი პროგრამის განხორციელებისთვის;
- ✓ მოდულში „პრაქტიკული პროექტი ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“, რომელიც ისწავლება ყველა სხვა პროფესიული მოდულის დასრულების შემდგომ (მოდულის წინაპირობას წარმოადგენს - ყველა პროფესიული/დარგობრივი მოდული), სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულ იქნეს სწავლის შედეგების შესაძლო განმეორებითი დადასტურებისთვის საჭირო გონივრული 1 კვირიანი ვადა;
- ✓ დაწესებულებამ გაწეროს დებულებაში, სასწავლო გეგმებში გათვალისწინებული იმ მოდულების განმეორებითი დადასტურების ვადები, რომლებიც სხვა მოდულის დაშვების წინაპირობაა;
- ✓ მოდულში - „მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები“, სასწავლო რესურსებში მითითებული ლიტერატურა სრულად არ ეხმაურება მოდულის სწავლის შედეგებს და შესაბამის თემატიკას, ამიტომ ჩანაცვლდეს ან შევსებულ იქნეს შესაბამისი თემატური რესურსით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დებულებით მუხლი 8, ბრძანება №62 22.09.2017წ, მუხლი 22 &1,2,3,6,7) &1,2,3;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

- პროგრამის დამტკიცების აქტებით-დირექტორის ბრძანება №17 11 აპრილი 2018წ; ბრძანება №50 16 ივლისი 2018წ;
- დაწესებულების დირექტორის ბრძანებით №54 9/09/2018წ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის(მოდულური პროგრამის) შემუშავების, მასში ცვლილების შეტანის და დამტკიცების პროცედურის დოკუმენტით, დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №29 30/05/2016;
- სტუდენტთა შეფასების რეგულაციით, დაწესებულების დებულება მუხლი 24 &12;
- ინტერვიურებით;
- სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებებით (ნამუშევრები), უწყისებით;
- მემორანდუმი/ხელშეკრულებები პრაქტიკის შესახებ;
- პრაქტიკის გატარების შესახებ მიმოწერით (ბრძანება №59 2.10.2018წ)

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო დაწესებულების კატალოგი ფორმალურად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს. კატალოგი განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე. მასში წარმოდგენილია დაწესებულებაში ამჟამად არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და ანონსის სახით იმ მოდულური პროგრამების აღწერილობა, რომლის განხორციელებასაც გეგმავს პროფესიული კოლეჯი ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში. პროგრამების აღწერა მოიცავს შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტიდან გადმოტანილ ინფორმაციას მისანიჭებელი კვალიფიკაციების, კრედიტების რაოდენობის, პროგრამის ხანგრძლივობის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

კატალოგში ასევე მოცემულია ინფორმაცია, კოლეჯის მისიის, ხედვისა და ღირებულებების, პრაქტიკის ობიექტებისა და კოლეჯის მნიშვნელოვანი აქტივობების შესახებ.

რეკომენდაციები:

- ✓ კატალოგი დამატებით მოიცავდეს ინფორმაციას, სერვისისა და ინფრასტრუქტურის, მოდულის/პრაქტიკის განმახორციელებელი პირებისა და წარმატებული კურსდამთავრებულების შესახებ. ასევე ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით;
- ✓ განისაზღვროს კატალოგის განახლებაზე პასუხისმგებელი პირი;
- ✓ კატალოგი გამოტანილი იყოს დაწესებულების ვებგვერდის მთავარ გვერდზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *შპს ილია–ს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგით;*
- *დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებული კატალოგით;*

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს შესწავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ საგანმანათლებლო პროგრამებში სწავლის შედეგები, შეესაბამება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს და ასახავს მოდულებით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებით;
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯში წარმოდგენილი აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სადაც არის გაწერილი პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები.

- *პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება* გაწერილია-*შპს ილია*-ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (&1-პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება). პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ცხადდება დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება აპლიკანტის დოკუმენტების განხილვისა და ტესტირების შემდეგ(დაწესებულებაში ინახა პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის მიერ შევსებული ტესტის ნიმუში). აპლიკანტი, რომელიც წარმოადგენს ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების გამოცდის დადებით შედეგს, თავისუფლდება კოლეჯში მისაღები ტესტირებისგან.

<u>დაწესებულებას გაწერილი აქვს არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის დაწესებულებაში მიღების პროცედურაც.</u> ადგილზე ინახა, პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ საგანმანათლებლო პროგრამაზე(ოფისის მენეჯერის მესამე საფეხური) ჩარიცხული არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, სადაც ინახა პროფესიული სტუდენტის დაბადების მოწმობა, მშობლების განცხადება, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხელშეკრულება მშობლის ხელმოწერით.

- *<u>პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა</u>* გაწერილია -*შპს ილია* - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (&2 -პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება, &3 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა). სადაც მოყვანილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის საფუძვლები. რეესტრის მიხედვით დაფიქსირებულია 9 სტატუს შეჩერებული სტუდენტი
- *<u>პროფესიული სტუდენტის მობილობა-</u>* გაწერილია -*შპს ილია* - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში &4-&9.

მე-6 პუნქტში იკითხება: "მოდულური პროგრამიდან მობილობით შემოსული ან შიდა მობილობით პროფესიული სტუდენტი შეიძლება ჩაირიცხოს საგნობრივ პროგრამაზე დირექციის გადაწყვეტილებით კომისიური წესით, კრედიტებით გაანგარიშების წესის სრული დაცვით, შედეგების აღიარების მექანიზმის გამოყენებით". აღნიშნული ჩანაწერი არსებული მდგომარეობისთვის არარელევანტურია (უმოქმედო ნორმაა), ვინაიდან საავტორიზაციოდ პროფესიული სტანდარტის მიხედვით შექმნილი პროგრამები (საგნობრივი) არ არის წარმოდგენილი და ეს პროცედურა ვერ განხორციელდება.

&5-მობილობის უფლების მქონე პირი, პირველ პუნქტში გამოყენებულია ტერმინი „სპეციალობიდან სპეციალობაზე გადაყვანა."

ექსპერტთა მიერ წანახი იქნა შიდა მობილობის ერთი შემთხვევა, როდესაც ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროგრამიდან სტუდენტი გადავიდა ოფისის მენეჯერის მესამე საფეხურის პროგრამაზე პროგრამების განხორციელების პირველივე წელს, სასწავლო პროცესის დაწყებამდე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

<u>მიღებული განათლების აღიარების წესი -</u> შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიღებული განათლების აღიარება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესში ასევე მოცემულია ინფორმაცია, უცხოეთში მიღებული განათლების და მობილობით გადმოსული სტუდენტების განათლების აღიარების შესახებ. პირმა რომელმაც მიიღო განათლება უცხოეთში, დაწესებულებაში მიიღება მხოლოდ განათლების აღიარების დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

რეკომენდაციები:

- ✓ საზოგადოებრივი კოლეჯის დებულებით წარმოდგენილ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, &5 - მობილობის უფლების მქონე პირი, პირველ პუნქტში გამოყენებული ტერმინი „სპეციალობიდან სპეციალობაზე გადაყვანა“, შეიცვალოს ტერმინით - „ერთი პროგრამიდან მონათესავე პროგრამაზე გადაყვანა“;
- ✓ შპს ილია-ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, &4, მე-6 პუნქტის ჩანაწერი: “მოდულური პროგრამიდან მობილობით შემოსული ან შიდა მობილობით პროფესიული სტუდენტი შეიძლება ჩაირიცხოს საგნობრივ პროგრამაზე დირექციის გადაწყვეტილებით კომისიური წესით, კრედიტებით გაანგარიშების წესის სრული დაცვით, შედეგების აღიარების მექანიზმის გამოყენებით“ ამოღებულ იქნეს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების დებულებით, მუხლი 24 -*შპს ილია* - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით &1პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება, &2 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება; &3 პროფესიული სტუდენტის სტატუსისი შეწყვეტა; &4 მობილობა - 1.4 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი(ბრძანება№62-22.09.2017წ) &5 მობილობის უფლების მქონე პირი &8 მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიღებული განათლების აღიარება;
- დირექტორის ბრძანებით, სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ-ბრძანება №67 2.10.2017;
- ინტერვიურებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საზოგადოებრივ კოლეჯს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი, ასეთ შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს ასეთი პროგრამის სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას აღნიშნულ პროგრამასთან თავსებად საგანმანათლებლო პროგრამაზე მათი გადაყვანის გზით, მანამდე მოპოვებული კრედიტების აღიარებით.

<u>დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის უვადო მემორანდუმი</u> საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან, დათარიღებული 2018 წ . მემორანდუმის 1.5 პუნქტში გაწერილია: "მხარეები ვალდებული არიან უზრუნველყონ იმ სტუდენტის სწავლის უწყვეტობა, რომელიც სწავლობდა ამ მემორანდუმის მონაწილე ერთ-ერთ კოლეჯში და აღნიშნული პროგრამა გაუქმებული/ შეცვლილი იქნა".

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების დებულებით, მუხლი 24. *შპს ილია* - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, პარაგრაფი 11 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება;
- უვადო მემორანდუმით კერძო კოლეჯების ასოციაციასთან.

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივ კოლეჯს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და გაუმჯობესების წესი.

საგანმანთლებლო პროგრამების შეფასების პროცედურები ხორციელდება დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ.

ხარისხის მართვის მენეჯერს შემუშავებული აქვს პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა. იგი მოიცავს „ანკეტირების ჩატარების ინსტრუქციებს"-ა და შედეგებს, მუშაობის მიმდინარეობის სქემას, შედეგების ანალიზს. პროგრამის შეფასებაში მონაწილეობენ: პროფესიული სტუდენტები, პროფესიული მასწავლებელი, კურსდამთავრებული და პოტენციური დამსაქმებელი, ივსება კითხვარები. კითხვარების ანალიზი დაწესებულებამ წარმოადგინა ხარისხის მართვის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათების სახით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ასევე სილაბუსის შემოწმების ფორმა №3. ინახა სამსახურებრივი ბარათი №2-სილაბუსის შემოწმების ფორმის ანალიზი. ვინაიდან ჩარჩო დუკუმენტის მიხედვით შექმნილი(მოდულური) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ჯერ არ განხორციელებულა, ჯერ-ჯერობით პროგრამის შეფასება არ გაკეთებულა და არც ფორმა არ აქვთ შემუშავებული საამისოდ.

ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ფასდება პროგრამის/მოდულის შესაბამისობა სტანდარტთან, განხილვის შედეგად იწერება შეფასების დასკვნა. უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამის შემდგომი სრულყოფის მიზნით კეთდება მითითება, თუ რომელი კრიტერიუმი ვერ დააკმაყოფილა პროგრამამ. საჭიროების შემთხვევაში პროგრამაში არსებული ხარვეზის გამოსწორების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი.

ხარისხის მართვის მენეჯერი აფასებს რამდენად რეალურია პროგრამის ხანგრძლივობა, შეესაბამება თუ არა ლექციები, პრაქტიკული მუშაობა პროგრამით გათვალისწინებულ მასალის მოცულობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

რეკომენდაციები:

- ✓ ჩარჩო დუკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროგრამებისათვის შექმნილი კითხვარების ანალიზი იყოს უფრო სრულყოფილი, შედეგები მოიცავდეს სტატისტიკურ მონაცემებს და დეტალურად აღწერდეს შედეგებზე რეაგირების ქმედებებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *შპს ილია* - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დებულებით,მუხლი 12, ხარისხის მართვის მენეჯერის დებულება;
- *შპს ილია* - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დებულებით , მუხლი 26 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და გაუმჯობესების წესი პარაგრაფი 1- პარაგრაფი 8;
- კითხვარებით;
- კითხვარების შეფასების შედეგების ანალიზით;
- ინტერვიურებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო დაწესებულება სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით ფლობს ქ. საგარეჯო, ლეონიძის ქ. №33ა-ში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 3994 კვ.მ მიწის ნაკვეთს და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობას 1100 კვ. მ, საკადასტრო კოდი [redacted] არსებობს შენობის აზომვითი ნახაზები.

ხელშეკრულების ვადაა 30 წელი. ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი 03/10/2011.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	საქართველო, ქ. საგარეჯო, ლეონიძის ქ. №33ა	1100

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ქონების აღნაგობის უფლებით გადაცემის ხელშეკრულება №6, 3 ოქტომბერი 2011 წ. რეესტრის №111129205;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან [redacted].

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



{თბილისი, 2018 წ}

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქ. საგარეჯოში, ლეონიძის ქ №33 ა-ში დაწესებულებას აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამებს.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო (მოდულური) პროგრამების აღჭურვილობა გადამოწმდა მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის სპეციალურ ცხრილებთან შესაბამისობით.

საოფისე საქმე IV საფეხური- გარემო A №201 23 მ²

№	დასახელება	რაოდენობა (ცალებში)
1	მონიტორი	1
2	მასწავლებლის კომპიუტერი	1
3	დაფა მარკერის	1
4	ერთადგილიანი მაგიდა	16
5	ორადგილიანი მაგიდა	1
6	სკამი	17
7	ფლიპჩარტის სადგამი	1
8	ფლიპჩარტის ქაღალდი	1
9	ბაინდერი	4
10	ფორმატი A3 თეთრი ფურცლები (ვატმანი სახაზავი A3)	20
11	ფირნიში სამაგიდე ანუ მაგიდის ბეიჯი	20
12	ფაილი	4
13	სწრაფჩამკერი	4
14	საქაღალდე	4
15	მარკერი დაფის	4
16	მარკერი ფლიპ-ჩარტის	4
17	ნიღაბი	10

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

18	ქაღალდების სამაგრი (რკინის)	4
19	ჩასანიშნი ფურცელი №7606	1 კომპ.
20	ძაფი ბამბის	1
21	ნაჭრის ხალათი	10
22	მახათი	1
23	ნაჭრის ხელთათმანები	10
24	კედლის კარადა ორკარიანი საკეტით	1
25	დაფის საშლელი	2
26	ქაღალდი A4	1 შეკვრა
27	მარლა	3 მეტრი
28	წებო თხევადი	1
29	გაზის გამათბობელი	1
30	სტეპლერი	1

ფარმაცია (სააფთიაქო) V საფეხური

აღნიშნული პროგრამასათვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ორი გარემო გარემო A/C №108 25მ² (აფთიაქის მოდელით) და გარემო C №106 20მ²

გარემო A/C №108

№	დასახელება	რაოდენობა (ცალებში)
1	მონიტორი	1
2	მასწავლებლის კომპიუტერი	1
3	დაფა მარკერის	1
4	სკამი	16
5	მაგიდები (ორადგილიანი)	6
6	თეთრი მაგიდა	1
7	თეთრი კარადა (სამგანყოფილებიანი უჯრებით)	1
8	სამედიცინო ტახტი	1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

როგორც აღვნიშნეთ A/C გარემო-ში მოთავსებულია აფთიაქის მოდელი. ვიზიტისას გაირკვა, რომ აფთიაქის მოდელში მოდულით მოთხოვნილ აუცილებელ(არაფუჭებად) მასალას აკლდა გარკვეული ჩამონათვალი აფთიაქის მოდელისათვის, თუმცა ვიზიტის პროცესში დაწესებულებამ ექსპერტებს წარმოუდგინა აღნიშნული მასალა სათანადო დოკუმენტაციის თანხლებით(ჩუქების და მიღება-ჩაბარების აქტი) (იხილეთ დანართი №4-№5)

გარემო C №106 20მ²

№	დასახელება	რაოდენობა (ცალი)
1	დაფა მარკერის	1
2	კარადა დიდი (კარადა- ქიმიური ჭურჭლისათვის, კარადა- ინგრედიენტებისათვის)	2
3	ლაბორატორიული მაგიდა	3
4	ლაბორატორიული სკამი	10
5	სკამი მასწავლებლის	1
6	სამადგილიანი მაგიდა გრძელი	1
7	მაგიდა მასწავლებლის	1
8	მონიტორი	1
9	კომპიუტერი	1

ექსპერტთა მიერ დადგინდა C გარემოს აღჭურვილობის შესაბამისობა პროგრამით გათვალისწინებულ აღჭურვილობასთან.

ინფორმაციის ტექნოლოგია III საფეხური - გარემო B -ფართი 24 კვ.მ.

აუდიტორია №203

№	დასახელება	რაოდენობა
1	მონიტორი (სადემონსტრაციო)	1
2	დაფა ცარცის	1
3	მაგიდა ორადგილიანი	6
4	სკამი	10

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

5	კომპიუტერის მაგიდა	1
6	კომპიუტერი	11 (10 +1)
7	ხელსაწყოების შესანახი კარადა საკეტით	2
8	მრავალფუნქციური პრინტერი (საოფისე კომბაინი)	1
9	კატრიჯი 725 A	1
10	მეხსიერების ბარათი	5
11	ქსელის სადენი	100 მ
12	მონიტორი „19“	1
13	ქსეროქსის ქაღალდი	2 შეკვრა
14	საწმენდი CL№30598 DefeN№der CL№30598CleaN№iN№g Wipes(მიკროფიბრა+ სითხე 200 მლ)	3
15	CL51 Acme Air pressure cleaN№iN№g Compressed air cleaN№er, 400 ml	1
16	ხელსაწყო №S-468 (KD-CT 005), KIN№GDA, Cable Tester With RJ45/RJ12 /RJ11	10
17	დენის ფილტრი 99484,BEFEN№DER ES 1.8m 5 Sockets Surge protector,10A	1
18	Z3. Deepcool,Thermal Paste: AD66, Silver Gray, 1.5 g	1
19	2/181 VGA CABLE	2
20	31/004 SOLDERWIRE 100G	1
21	68/065. 68/065 №301	2
22	68/126. 68/126 U2 (150Mbps,Plug wifi adapter)	3
23	68/004 ქსელის გამანაწილებელი TL-SF105D	1
24	68/005 TL-SF1008D,TP-LiN№k ქსელის გამანაწილებელი	1
25	საწმენდი CL№ 30598 DefeN№der CL№30598 CleaN№iN№g Wipes(მიკროფიბრა+სითხე 200მლ)	3
26	CL 51 Acme Air pressur cleaN№iN№g Compressed air cleaN№er. 400ml	1
27	ხელსაწყო №S-468 (KD-CT 005), KIN№G DA, Cable Tester With RJ45/RJ12RJ11	1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

28	დენის ფილტრი 99484 DEFEN№DER ES 1/8 m5 Sockets Surge Protector, 10A	1
29	ტესტური 9205 მულტიმეტრი	
30	ჯეკმეიკერი ბლოკი 315	1
31	სახრახნისი (სხვადასხვა ზომის)	11
32	ქსელის კაბელი (TP) 300 M	1
33	ქსელის სადენის კონექტორი (დამაკავშირებელი)	100
34	ფანარი	2
35	ჯეკმეიკერი	1
36	ჯვარედინი ფორმის სახრახნისი სხვადასხვა ზომის	5
37	ბრტყელი ზომის სახრახნისი სხვადასხვა ზომის	5
38	ექვსკუთხა ქანჩი სხვადასხვა ზომის	5
39	სამაჯური და სადენი	3
40	დამცავი სათვალე	10
41	არახაოიანი საწმენდი ჩვრების კომპლექტი	1 კომპ.
42	ანტისტატიკური ხალიჩა	1
43	ელექტროსადენის საფრცქვნელი ინსტრუმენტი	1
44	მკვნეტარა	1
45	კომპიუტერი დაშლა-აწყობისთვის	1
46	სახრახნისის ნაკრები (ფიგურული, ბრტყელი) არანაკლებ 3 სხვადასხვა ზომის	1
47	ინსტრუმენტების ნაკრები კომპიუტერული ქსელისათვის (ქსელის ტესტერი, ქსელური კაბელის კონექტორის მომჭერი)	1
48	კომუტატორი (არანაკლებ 8 პორტით)	1
49	კაბელი სტენდი (სპილენძის გრეხილი წყვილი, ოპტიკური)	1 სტენდი
50	მარკერი, ცარცი	1 ყუთი
51	ქაღალდი A4	1 კომპ.
52	CD/DVD დისკი	4
53	უწყვეტი კვების წყარო (UPS)	1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

54	გრაფიკული ინტერფეისის მქონე მულტიფუნქციური უსადენო ქსელის მარშრუტიზატორი/როუტერი (მინიმუმ ერთი WAN№ ინტერფეისი, ოთხი WAN№ ინტერფეისი,802.11 b/91 №, WbA 2-is მხარდაჭერა)	2

ექსპერტთა მიერ დადგინდა B გარემოს აღჭურვილობის შესაბამისობა პროგრამით გათვალისწინებულ აღჭურვილობასთან.

V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - აღმზრდელი გარემო A -ფართი23 კვ.მ.

აუდიტორია №101

№	დასახელება	რაოდენობა (ცალებში)
1	მონიტორი	1
2	დაფა მარკერის	1
3	მასწავლებლის კომპიუტერი	1
4	ორადგილიანი მერხი	6
5	სკამი რბილი	16
6	ფლიპჩარტის ქაღალდი	1
7	ფლიპჩარტის სადგამი	1
8	სადგამი კუთხის (თეთრი)	3
9	ნატურმორტის სადემოსტრაციო სადგამი	2
10	თვალსაჩინოება-პლაკატი(გარეული ცხოველები, ბოსტნეული, ტრანსპორტი, ხილი, ტანსაცმელი, გარეული ფრინველები, ჰიგიენა, საოჯახო წივთები)	8
11	სკოჩი დიდი	2
12	სკოჩი პატარა	2
13	რეზინის საშლელი	5
14	დაფის საშლელი	3
15	საზელი თიხა	2 შეკვრა
16	გუაში 12-იანი	1 ყუთი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

17	პლასტელინი 12-იანი	1 ყუთი
18	ფლომასტერი 12-იანი	1 ყუთი
19	ფერადი ფანქრები 24-იანი	1 ყუთი
20	ფერადი ფანქრები 12-იანი	1 ყუთი
21	მშრალი წებო	1
22	სველი წებო	1
23	ფერადი ქაღალდები 100 ცალი	1 შეკვრა
24	მაკრატელი	1
25	მუყაოს ქაღალდების კომპლექტი A4	1
26	პლასტმასის დაფა (სამუშაოდ) ფერადი	10
27	მარკერი	1 შეკვრა
28	ქაღალდი A4	1 შეკვრა
29	საკონდიტრო საღებავი	5 ფერი

ექსპერტთა მიერ დადგინდა A გარემოს აღჭურვილობის შესაბამისობა პროგრამით გათვალისწინებულ აღჭურვილობასთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით (სასაქონლო ზედნადებები, მიღება-ჩაბარების აქტები);
- მოძრავი ქონების დამადასტურებელი დოკუმენტით (ინვენტარიზაციის აქტი).

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო დაწესებულებაში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ყველა აუდიტორია და ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. პროფესიული სტუდენტების სასწავლო გარემოსა და ადმინისტრაციისთვის განკუთვნილ ოთახებში დამონტაჟებულია გაზის გამათბობლები.

სველი წერტილები განთავსებულია ორივე სართულზე (პირველ სართულზე გამოყოფილია ცალ-ცალკე ქალებისა და მამაკაცებისათვის), აკმაყოფილებს სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს, პირველ სართულზე ასევე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- გათბობის სისტემის მონტაჟის დოკუმენტით;
- კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრებით;
- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საბიბლიოთეკო ფონდი აღრიცხულია ბეჭდურ კატალოგში, წიგნადი ფონდი განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე. ბიბლიოთეკაში არის მკითხველის ბარათები და საინვენტარო წიგნი. ელექტრონული წიგნები ჩატვირთულია სამკითხველო დარბაზში დამონტაჟებულ კომპიუტერებში. ბიბლიოთეკაში არსებული ნაბეჭდი და ელექტრონული რესურსები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში გაწევრიანებული კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის.

ბიბლიოთეკაში დამონტაჟებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული 3 პერსონალური კომპიუტერი და საოფისე კომბაინი (მრავალფუნქციური პრინტერი). ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, რაც იძლევა კონფერენციებისა და პრეზენტაციების მოწყობის საშუალებას.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (მთავარი დებულება, მუხლი 19), რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

სასწავლო დაწესებულების საბიბლიოთეკო ფონდი შეადგენს 1150 წიგნად ერთეულს.

პროგრამების მოდულების მიხედვით შემოწმდა ლიტერატურის სია, დადასტურდა მითითებული ლიტერატურის არსებობა ბიბლიოთეკაში. უმრავლესობა წიგნებისა დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით, თუმცა აღმოჩნდა ისეთი წიგნებიც (მაგ.: „ბაგა-ბაღის აღმზრდელ პედაგოგის სახელმძღვანელო 2015წ.“), რომლებშიც რეგისტრაციის კოდი და ბეჭედი არ იყო დასმული შესაბამის გვერდზე ან სრულიად არ ფიქსირდებოდა.

რეკომენდირებულია:

- ✓ ბიბლიოთეკაში არსებული ყველა სახელმძღვანელო დამუშავებულ იქნას საბიბლიოთეკო წესის მიხედვით

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- წიგნადი ფონდის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაციით;
- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესით;
- ადგილზე დათვალიერებით.

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო დაწესებულება აღჭურვილია 46 ქსელში ჩართული კომპიუტერით. არის: 3 B გარემო, თითოეულში - 11 კომპიუტერი 3 A გარემო - 3 კომპიუტერით; ბიბლიოთეკა - 3 კომპიუტერით; ადაპტირებული გარემო - 2 კომპიუტერით; სამასწავლებლო - 3 კომპიუტერით; 2 კომპიუტერი პერსონალისთვის.

მეორე სართულზე დამონტაჟებულია ქსელური მოწყობილობები, საიდანაც ვრცელდება სადენიანი და უსადენო ინტერნეტ კავშირი სასწავლო დაწესებულების ორივე სართულზე. უსადენო წვდომის წერტილი დამონტაჟებულია ორივე სართულზე და ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის ასევე პერსონალისთვის.

კოლეჯის მართვის პროცესში გამოიყენება ელექტრონული ფოსტა, ვებგვერდი, სოციალური ქსელი, კოლეჯი სარგებლობს რეესტრის სამსახურით.

ელექტრონული ფოსტა გამოიყენება კოლეჯში ინფორმაციის მიღებისა და გადაცემისათვის. მისი მისამართია iliasagarejo@gmail.com

ვებგვერდი დომენური სახელით iliaedu.ge წარმოადგენს საინფორმაციო წყაროს დაინტერესებული პირებისათვის. იგი მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების საქმიანობის შესახებ. აგრეთვე, საკონტაქტო ინფორმაციას იმ პირებისათვის, ვისაც სურს განათლება მიიღოს კოლეჯში.

სასწავლებელს გააჩნია სოციალური ქსელი, სახელწოდებით - Sagarejos koleji, რომელიც ძრითადად სარეკლამო ხასიათისაა. აქ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აღიწერება ყველა ის მნიშვნელოვანი აქტივობა, რომელიც ხდება კოლეჯში.

კოლეჯი იყენებს რეესტრის ბაზას evet.emis.ge, რეესტრის ფუნქციაა პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიულ მასწავლებელთა შესახებ სრული ინფორმაციის შეგროვება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დოკუმენტებით;
- ინტერნეტ პროვაიდერთან ხელშეკრულებით;
- ჰოსტინგის ხელშეკრულებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საზოგადოებრივ კოლეჯს შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით. დაწესებულებაში საქმისწარმოებას ახორციელებს დირექტორის მიერ დანიშნული პირი - ოფისის მენეჯერი. შემუშავებულია შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის, დოკუმენტის განხილვისა და პასუხის მომზადების, შიდა დოკუმენტაციის, დირექტორის ბრძანებების, დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების, პერსონალთან და მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების, დიპლომების რეგისტრაციის, კვალიფიკაციის მინიჭების კომისიის სხდომის ოქმების, ადმინისტრაციის საბჭოს სხდომის ოქმების აღრიცხვის წესები და შესაბამისი დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალები.

ადგილზე შესწავლილ იქნა ეს ჟურნალები. ჟურნალები დამუშავებულია საქმისწარმოების წესის შესაბამისად. ზონარგაყრილია, გვერდები დანომრილია და დალუქულია.

დაწესებულების: ბეჭედს, შტამპს, ლოგოს და ბლანკის ფორმებს შეიმუშავებს დამფუძნებელთა საბჭო.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *შპს ილია* - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დებულებით მუხლი 15, კანცელარიის დებულება - მუხლი 7 ე);
- საქმისწარმოების წესით -დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №1 15.02.2017, (რედაქტირებული ბრძ №62 22.09.2017 წ.);
- დაწესებულების კანცელარიაში არსებული სარეგისტრაციო წიგნებით;
- evet.emis.ge;
- ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საგარეჯოს სახანძრო უსაფრთხოების სამსახურთან (მიწერილობა №35).

თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ევაკუაციის გეგმა და ევაკუაციის წარმართვისათვის გეგმა - პროცედურა.

შენობაში წარმოდგენილია 4 ცალი ცეცხლმაქრი, 2-2 ცალი - თითო სართულზე.

სამედიცინო დახმარებისათვის კოლეჯში არსებობს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით და პირველადი დახმარების მედიკამენტებით. სამედიცინო კაბინეტისა და მასთან დაკავშირებული საკითხების კონტროლი შედის ექთნის ფუნქციებში.

<u>მედიკამენტების ნაწილს ვადა ჰქონდა გასული, თუმცა აფთიაქის მოდელში არსებული სამედიცინო დახმარების ყუთი სრულად იყო შევსებული სათანადო ვადიანი პრეპარატებით.</u>

სამედიცინო პუნქტის (ექთნის) დებულება გამოკრულია დერეფანში თვალსაჩინო ადგილზე. კაბინეტი აღჭურვილია მრავალფუნქციური საწოლით, მაგიდით და მედიკამენტებით. წარმოდგენილია წნევის აპარატი, თერმომეტრი და სხვა სამედიცინო საშუალებები.

კოლეჯის სტრუქტურაში შედის წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის სამსახური. ამ სამსახურის დებულება გამოკრულია დერეფანში თვალსაჩინო ადგილზე.

წესრიგსა და უსაფრთხოებას იცავს სამსახურის უფროსი, ორი დარაჯი და დასუფთავების თანამშრომელი. კოლეჯის შიდა და გარე პერიმეტრს იცავს ელექტრონული დაცვის სისტემა, დამონტაჟებულია ვიდეო-კამერები, რომელთა ჩანაწერების გადამოწმება ხდება თვეში ერთხელ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

საგანგებო სიტუაციების მართვის სახელმძღვანელო დოკუმენტად, დამატებით გამოიყენება ღონისძიებათა წუსხა, დამტკიცებული ბრძანება №131, 10.06.2014 წელს, რომელიც ხელახლა არის დამტკიცებული კოლეჯის სახელის შეცვლასთან დაკავშირებით /ბრძანება №1 - 15.02.2017 წ/.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით №1- 15.02.2017 „სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელ ღონისძიებათა წუსხა“;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმებით;
- მიწერილობით №35, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე
- ცეცხლმაქრების შეძენის დოკუმენტებით;
- ცეცხლმაქრის გადამუხტვის დოკუმენტებით;
- ევაკუაციის გეგმა-პროცედურით;
- დამტკიცებული საევაკუაციო გეგმით;
- დებულებით- მუხლი17. სამედიცინო პუნქტის ექთნის დებულება, მუხლი 18, წესრიგისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულება;
- წესრიგის დამცველებთან და სამედიცინო პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო დაწესებულების შენობა აღჭურვილია კიბის პანდუსებით, რომლის სიგანე სტანდარტულია, გვერდზე რკინის სახელურებით, რიკულებით.

პირველივე პანდუსით სტუდენტი ხვდება პირველ სართულზე, სადაც განთავსებულია აუდიტორიები, მათ შორის აუდიტორია კომპიუტერებით აღჭურვილი (2 კომპიუტერი),

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

განკუთვნილი სპეციალურად მათთვის, ბიბლიოთეკა, სამკითხველო, სამასწავლებლო, კვების ბლოკი.

პირველ სართულზე არსებული სველი წერტილი ადაპტირებულია, სტანდარტული - 9 $მ^2$ ფართით, სადაც დაცულია ეტლის მანევრირებისათვის ყოველგვარი პირობა. იგი აღჭურვილია მოძრავი სახელურებით.

პანდუსი ადის მეორე სართულზე, იგი პატარა 5 $მ^2$ მეტრიანი ბაქანით უკავშირდება ქვედა ბაქანს. სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია II სართულზე ასვლაც, რაშიც დაეხმარება სპეციალურად მისთვის გამოყოფილი პირი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებგვერდი - http://iliaedu.ge/ უზრუნველყოფს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციის შესრულებას. მასზე განთავსებულია სიახლეების ბლოკი; ინფორმაცია კოლეჯის შესახებ, მათ შორის - მისია, კატალოგი, მთავარი დებულება, სტრუქტურა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სამოქმედო გეგმა; ინფორმაცია სასწავლო პროცესის შესახებ, მათ შორის - შინაგანაწესი, ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კოდექსი, სასწავლო პროგრამების სილაბუსები და პროფესიული პროგრამის მოდულები, თვითშეფასების წლიური ანგარიში; წარმოდგენილია დიპლომების რეესტრი წლების მიხედვით; სტუდენტთა სია; ფოტო გალერეა, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი; საკონტაქტო ინფორმაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

რეკომენდაციები:

- ✓ სასწავლო დაწესებულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის, მათ შორის სტუდენტური, პედაგოგიური, დამსაქმებლებთან ურთიერთობის აქტივობების ანონსებისა და ჩატარების შესახებ ინფორმაციის ვებგვერდზე გონივრულ ვადებში ასახვა;
- ✓ აპლიკანტებისთვის სასარგებლო და დამაინტერესებელი ინფორმაციის ვებგვერდზე თვალსაჩინოდ წარმოჩენა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებგვერდით iliaedu.ge

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივ კოლეჯს შემუშავებული აქვს მისია, 2018-2019 წლის ერთწლიანი სამოქმედო და განვითარების გრძელვადიანი(ექსვწლიანი) სამოქმედო გეგმა 2018-2024 წლები (რომელიც SWOT ანალიზსაც შეიცავს), დამტკიცებული დაწესებულების დირექტორის მიერ. (თუმცა დებულებაში არ არის გაწერილი რომ დირექტორმა უნდა დაამტკიცოს ერთწლიანი და ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, დებულების მე- 7 მუხლში არის ჩანაწერი, რომ „დამფუძნებელთა საბჭო გაფართოებულ სხდომაზე შეიმუშავებს კოლეჯის მისიას, ხედვას ღირებულებებს, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს,წლიურ ბიუჯეტს და განიხილავს დირექტორის მიერ მომზადებულ წლიურ ანგარიშს“ თუმცა არ არის გამოკვეთილი ვის მიერ მტკიცდება აღნიშნული გეგმები).

სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და ემსახურება მისი მიზნების მიღწევას. სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში გათვალისწინებულია: საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(თბილისი, 2018 წ)

პროგრამების, ინფრასტრუქტურის, ადამიანური რესურსებისა და სტუდენტური სერვისების განვითარება. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია: სტრატეგიული ამოცანა, მის შესასრულებლად საჭირო აქტივობა, ინდიკატორი, განხორციელების თვე და პასუხისმგებელი .

<u>უნდა აღინიშნოს, რომ **2018 -2019 წ სამოქმედო გეგმაში-სტრატეგიული მიზანი №3-ადამიანური რესურსი**, 3.2 პუნქტში იკითხება "უახლოეს 2 წელიწადში მინიმუმ 5 პროფესიული პროგრამის განხორციელება განათლების, ბიზნესის ადმინისტრირების და ჯანდაცვის მიმართულებით" -აქტივობის გრაფაში კი მითითებულია:"პროგრამების შემუშავება და შესაბამისი ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა" . ვინაიდან სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი, გაწერილია 2018 წლის მარტიდან, 2019 წლის თებერვლის ჩათვლით, 3.2 პუნქტში მოყვანილი ჩანაწერი მოსაყვანია შესაბამისობაში იმ თორმეტ თვესთან (03.2018-02.2019), რომელიც გაწერილია გეგმაში.</u>

<u>**განვითარების გრძელვადიან (ექვსწლიანი) სტრატეგიულ გეგმაში (დაწესებულების დოკუმენტის მიხედვით „სამოქმედო გეგმაში") 2018-2024 წლები** - რეალურად მოცემულია არა ექვსი, არამედ შვიდი წლის განვითარების გეგმა.</u>

<u>**განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის-1. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში** ფიგურირებს ჩანაწერი - " სტუდენტთა ცოდნის დონის შეფასების ECTS-ის მიერ რეკომენდებული სკალის გამოყენება" .</u>

რეკომენდაციები:

- ✓ დაწესებულების მიერ დამტკიცებული განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სამოქმედო გეგმა, 2018-2024 წლები, გაიწეროს 6 წელზე და სიტყვა „სამოქმედო" შეიცვალოს სიტყვით „სტრატეგიული";
- ✓ გრძელვადიანი გეგმის პირველი პუნქტიდან - საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება - ჩანაწერი: "სტუდენტთა ცოდნის დონის შეფასების ECTS-ის მიერ რეკომენდებული სკალის გამოყენება" ამოღებულ იქნეს, რადგან არ არის რელევანტური ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი (მოდულური) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, ზოგადად პროფესიული განათლებისთვის;
- ✓ 2018 -2019 წ სამოქმედო გეგმაში, სტრატეგიული მიზანი №3, ადამიანური რესურსი, 3.2 პუნქტში, „უახლოეს 2 წელიწადში მინიმუმ 5 პროფესიული პროგრამის განხორციელება განათლების, ბიზნესის ადმინისტრირების და ჯანდაცვის მიმართულებით",

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

შესაბამისობაში მოვიდეს სტრატეგიულ მიზანთან №1 - საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფა;

- ✓ სამოქმედო გეგმის 3.2 პუნქტის ჩანაწერი შესაბამისობაში მოყვანილ იქნეს იმ თორმეტ თვესთან (03.2018-02.2019), რომელიც გაწერილია ერთწლიან სამოქმედო გეგმაში;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების მისიით;
- სტრატეგიული გეგმით;
- სამოქმედო გეგმით

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას გაწერილი აქვს პერსონალის ცალკეული პოზიციაზე მიღების წესი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები (თუმცა საკვალიფიკაციო მოთხოვნები ცალკე დოკუმენტის სახით დამტკიცებული არ არის).

დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის მიერ დამტკიცებული აქვს **თანამდებობრივი ინსტრუქციები,** სადაც გაწერილია საკვალიფიკაციო მოთხოვნები (დანართი 6-1 ; დანართი 6-2).

სასწავლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა „საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომელიც წარმოადგენს ამონაწერს „თანამდებრობრივი ინსტრუქციებიდან“ და არ არის დამტკიცებული უფლებამოსილი პირის მიერ.

ბიბლიოთეკარის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია (ასახულია თანამდებრობრივ ინსტრუქციაში დანართი 6-2): უმაღლესი ან პროფესიული განათლება, სამუშაო გამოცდილება და მინიმალური (2 წლის) სამუშაო სტაჟი, შესაბამისი ცოდნა და კვალიფიციური შრომის უნარი. არ არის დაკონკრეტებული საბიბლიოთეკო საქმით მუშაობის გამოცდილება ან უნარები. სასწავლო დაწესებულებას „ბიბლიოთეკარის მოვალეობის შემსრულებლად“ დანიშნული ჰყავს პიროვნება, რომელსაც აქვს პროფესიული განათლება და არ უდასტურდება ბიბლიოთეკარის პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება ან შესაბამისი უნარების ფლობა.

საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიურებით, ექსპერტებმა დაადგინეს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი ადამიანური რესურსი, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად.

რეკომენდაციები:

- ✓ სასწავლო დაწესებულებამ ცალკე დოკუმენტის სახით დაამტკიცოს საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- ✓ ბიბლიოთეკარის პოზიციაზე დასაქმებულ პირს ჰქონდეს შესაბამისი სამუშაო გამოცდილება ან გადამზადების დამადასტურებელი დოკუმენტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

- სასწავლო დაწესებულების დებულებით;
- პერსონალის პირადი საქმეებით;
- შრომითი ხელშეკრულებებით;
- თანამდებრობრივი ინსტრუქციებით

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული მასწავლებლისადმი წაყენებული მოთხოვნები და მიღების წესი დაწესებულებას გაწერილი აქვს დებულებაში. პროფესიული მასწავლებელი ვაკანტურ ადგილს იკავებს კონკურსის შემდეგ. თუმცა ჯერ-ჯერობით კონკურსის წესით პროფესიული მასწავლებლის მიღება არ განხორციელებულა, რეალურად კონკურსის არარსებობის გამო.

უნდა აღინიშნოს, რომ დებულებაში , &1 **პროფესიული განათლების მასწავლებლის მიღების წესში** - წერია:

„1.1პროფესიული განათლების საგნობრივი და მოდულური პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლისგამოცდილება;

1.2 პროფესიული განათლების IVდა V საფეხურის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს უმაღლესი/ბაკალავრი, მაგისტრის განათლების კვალიფიკაცია.

1.3 IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში;

თუ სასწავლო დაწესებულება დებულებით ადგენს (ზემოთ აღწერილი 1.2 პუნქტი) მოთხოვნას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის აუცილებლობის თაობაზე, ზემოთ აღწერილი 1.3 პუნქტით მოცემული ჩანაწერი თავისთავად იგულისხმება 1.2 პუნქტში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

ექსპერტებმა ადგილზე გადაამოწმეს პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები და დაადგინეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ (კვალიფიკაციის შედარება მოხდა თანამდებრობრივ ინსტრუქციებში გაწერილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან).

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა წარმოდგენილი პროგრამების მიხედვით:

- აღმზრდელი - 9 განმახორციელებელი პირი;
- ბუღალტრული აღრიცხვა - 5 განმახორციელებელი პირი;
- ფარმაცია (სააფთიაქო) – 8 განმახორციელებელი პირი;
- ინფორმაციის ტექნოლოგია - 8 განმახორციელებელი პირი;
- საოფისე საქმე - 8 განმახორციელებელი პირი.

პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობა - 122

პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა- 21

სასწავლო დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე მინიმუმ 1 განმახორციელებელი პირი, თანაფარდობა 6/1.

რეკომენდაციები:

- ✓ სასწავლო დაწესებულებამ პროფესიული მასწავლებლის მიღების წესის პუნქტები მოიყვანოს შესაბამისობაში პროფესიული მასწავლებლის დებულებასთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების დებულებით-მუხლი 10 პროფესიული მასწავლებლის დებულება (ბრძანება №62 22/09/2017წ);
- პროფესიული განათლების მასწავლებლის (პედაგოგის) თანამდებობის დაკავების წესით (დებულება მუხლი 10 &6);
- პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეებით;
- სერტიფიკატებით;
- ინტერვიურებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის განმახორცილებულ პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები დადებულია ავტორიზაციის მიღების პირობით და შედგენილია საქართველოს შრომის კოდექსის მიხედვით. ხელშეკრულებებში მითითებულია: დაწესებულების დასახელება, ხელშეკრულების ნომერი, ხელშეკრულების დადების ადგილი, თარიღი, დასაქმებულის თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე (მითითებულია პროფესიული პროგრამა და მოდულები), სამუშაო ადგილის მისამართი,მხარეთა უფლება-მოვალეობები, შრომის ანაზღაურება, სამუშაო დრო და დასვენების დრო, შვებულება, მივლინება, ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება/შეწყვეტა,შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი, შრომითი დავის განხილვა და გადაწყვეტა, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, დამსაქმებლის და დასაქმებულის ხელმოწერა.

საქმის წარმოების ინსტრუქციის თანახმად პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეში ინახება: განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები (დიპლომები, სერტიფიკატები და სხვა), ანკეტა/ CV, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ამონაწერი ბრძანებიდან ან ბრძანების ასლი სამსახურში მიღების თაობაზე, პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები ან დედანი, პერსონალთან გაფორმებული შრომითი/მომსახურების ხელშეკრულება.

ადმინისტრაციულ პერსონალთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში, გვხვდებოდა უზუსტობა „შრომის ანაზღაურების ჩესთან დაკავშირებით“. ვიზიტის პერიოდში გასწორდა ჩანაწერი და თითოეულ პერსონალთან გაფორმდა (გადამტკიცდა) შრომითი ხელშეკრულება (დანართი 7 – 1 ; 7-2)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ილია -ს დებულებით (მუხლი 10 „პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის წესი“);
- პროფესიული განათლების მასწავლებლის (პედაგოგის)თანამდებობის დაკავების წესით. დებულება მუხლი 10 &6;
- პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეებით ;
- შრომითი ხელშეკრულებებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{თბილისი, 2018 წ}

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამების ათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვანი ტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	*ინფორმაციის ტექნოლოგია*	მე-3 საფეხური	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში **040171**	60	75	ქართული	ქ. საგარეჯო, ლეონიძის №33ა	0	20
2	*ბუღალტრული აღრიცხვა*	მე-5 საფეხური	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში **020156**	99	129	ქართული	ქ. საგარეჯო, ლეონიძის №33ა	0	20
3	*აღზრდელი*	მე-5 საფეხური	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში **030255**	116	146	ქართული	ქ. საგარეჯო, ლეონიძის №33ა	0	30
4	*ფარმაცია (საფთიაქო)*	მე-5 საფეხური	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში **090352**	120	150	ქართული	ქ. საგარეჯო, ლეონიძის №33ა	0	20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წ}

5	საოფისე საქმე	მე-4 საფეხური	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში **020369**	59	89	ქართული	ქ. საგარეჯო, ლეონიძის №33ა	0	32

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

დანართი 2. სასწავლო დაწესებულების დირექტორის ბრძანება №66 – 24.10.2018

დანართი 3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემ,უშავების მექანიზმი

დანართი 4. აღჭურვილობის საჩუქრად გადაცემის დოკუმენტი

დანართი 5. აღჭურვილობის მიღება-ჩაბარების აქტი

დანართი 6-1. საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის თანამდებობრივი ინსტრუქცია

დანართი 6-2. ბიბლიოთეკარის თანამდებობრივი ინსტრუქცია

დანართი 7-1. პერსონალთან გაფორმებული ახალი შრომის ხელშეკრულება

დანართი 7-2. ვიზიტამდე პერიოდში პერსონალთან გაფორმებული შრომის ხელშეკრულება

დანართი 8. სასწავლო დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულების ფორმა

დანართი 9. დაწესებულების დირექტორის ბრძანება, ვიზიტის პერიოდში განხორციელებული ცვლილებების შესახებ

04/12/2018
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

{თბილისი, 2018 წ}